



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მუაში



მუაში

მუაში, ადგილობრივი მნიშვნელობის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს სვანეთის ქედის სამხრ. ფერდობზე, მდ. ცხენისწყლის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1300 მ. იცის ზომიერად რბილი და თოვლიანი ზამთარი (იანვრის საშ. ტემპ-რა -  $4^{\circ}\text{C}$ ), ზაფხული კი - ზომიერად თბილი და მშრალი (აგვისტოს საშ. ტემპ-რა  $17.9^{\circ}\text{C}$ ). ნალექების საშ.

წლიური რაოდენობაა 2000 მმ, სინოტივე - 78%. ჰაერი გამოირჩევა განსაკუთრებული სისუფთავით. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: საშუალო მთის ჰავა და ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-კალციუმიანი, რკინის შემცველი და ნახშირმჟავარკინიანი, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმიან-კალციუმიანი მინერ. წყლები (მინერალიზაცია - 2,1 გ/ლ, ტემპ-რა -  $9^{\circ}\text{C}$ ; დებიტი - 13 ლ/დღ-ლ), რ-ებსაც იყენებენ სასმელად და აბაზანებისათვის. სამკურნალო ჩვენებებია: საჭმლის მომნელებელი ორგანოების, სახსრებისა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები. სეზონი გრძელდება ივნისიდან სექტემბრამდე.

**მ**-ის „მუავე“ და „რკინის წყლები“ ძველთაგანვე იყო ცნობილი. როგორც ლაშხეთის ხეობის ნაწილი, **მ**. სადადიანო სვანეთში შედიოდა. XX ს. 50-იანი წლებიდან დაიწყო კურორტის კეთილმოწყობა. საბჭ. პერიოდში აქ იყო საკურორტო პოლიკლინიკა, სააბაზანო. 90-იანი წლებიდან კურორტმა ფუნქციონირება შეწყვიტა.

**მ**-იდან რამდენიმე კილომეტრში გესხოს ულამაზესი ხეობაა, სადაც ფუნქციონირებდა ალპინისტური ბანაკები - „აილამა“ და „გესხო“.